ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6802166

ნომერი: AR1994693

თარიღი : 28.11.2023

გაცემის თარიღი : 12.12.2023

გაცნობის თარიღი : 13.12.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , პლატო ზემო , N152 სკოლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჭუბაბრია პ/ნ 39001004669
- საქართველო, სენაკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 5

ორგანიზაცია:

- ნიუ ჰაუსი კოდი: 439865512

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.034) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 06 მაისის ბრძანება:ბ01.011912616 -ით მომატებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი და განისაზღვრა კ-2=5.0 მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ხოლო თქვენ მიერ მოთხოვნილია 95% საცხოვრებელი ფუნქცია, ამასთან მცირდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N509 განკარგულების შესაბამისი ფუნქცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR1994693 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge